სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემისათვის“ ლითონკონსტრუქციების ელექტრონული ტენდერის (SPA) მეშვეობით შესყიდვის მიზნით, მუდმივმოქმედი სატენდერო კომისიის სხდომის

ოქმი №1

ქ. თბილისი, **02 ივლისი 2019 წელი**

სხდომას ესწრებოდნენ:

1. კომისიის თავმჯდომარე - დავით ვარდიაშვილი
2. კომისიის თავმჯდომარის მოადგილე - მურთაზ სიჭინავა
3. კომისიის წევრი - მამუკა სხილაძე
4. კომისიის წევრი - დავით გოლოშვილი
5. კომისიის წევრი - ნოდარი ქუბრიაშვილი
6. კომისიის წევრი - გელა კეზუა

კომისიის აპარატის წევრები:

1. ლაშა შენგელია
2. მანანა ამაღლობელი
3. გიორგი თათილაშვილი
4. სოფიო ბასილაძე
5. გიორგი გიორგაძე

დღის წესრიგი:

1. კონსულტანტ(ებ)ის მოწვევა;
2. სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემისათვის“ ლითონკონსტრუქციების **(CPV 44212300)** ელექტრონული ტენდერის (SPA) მეშვეობით შესყიდვის მიზნით, სატენდერო განცხადებისა და ელექტრონულად შევსებული სატენდერო დოკუმენტაციის კითხვარის (პირობების) პროექტის განხილვა და დამტკიცება.

განხილვა:

1. დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით სატენდერო კომისიამ, ტექნიკურ საკითხებში კონსულტანტ(ებ)ად მოიწვია:
   ოთარ ყირიმელი - ქვესადგურების პროექტების სამსახურის უფროსი.

2. დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით სატენდერო კომისიამ მოისმინა კომისიის აპარატის წევრების ინფორმაცია მიმდინარე შესყიდვასთან დაკავშირებით, კერძოდ:

- პროექტების დეპარტამენტის 2019 წლის 14 მაისის #6784 სამსახურებრივი ბარათი, სამსახურეობრივი საჭიროებიდან გამომდინარე სს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემისათვის" ლითონკონსტრუქციების შესყიდვის შესახებ;
- სსე-ს შესყიდვების დეპარტამენტის ბაზრის კვლევისა და ბიუჯეტირების სამსახურის 2019 წლის 25 ივნისის #9012 სამსახურებრივი ბარათი, რომლის მიხედვითაც, შესყიდვის ობიექტის ტექნიკური სპეციფიკაცია მისი სავარაუდო ღირებულების დადგენის მიზნით გადაეგზავნა საქართველოს ბაზარზე ოპერირებად 4 (ოთხი) პოტენციურ მიმწოდებელს. ბაზრის კვლევის შედეგად მოწოდებული ფასების განხილვის შემდგომ განისაზღვრა შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება - 91 986.85 ლარი დღგ-ს ჩათვლით, 77 954 ლარი დღგ-ს გარეშე. დაფინანსების წყარო - 2019 წლის ბიუჯეტი (საკუთარი სახსრები).

3. სატენდერო კომისიამ კონსულტანტ(ებ)თან ერთად განიხილა ზემოაღნიშნული ინფორმაცია და სატენდერო კომისიის აპარატის მიერ, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში გენერირებული სატენდერო განცხადებისა და ელექტრონულად შევსებული სატენდერო დოკუმენტაცის კითხვარის (პირობების) პროექტი.

კომისიამ დაადგინა:

1. ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-12[1] მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად დამტკიცებულ იქნას სატენდერო კომისიის აპარატის მიერ, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში გენერირებული სატენდერო განცხადებისა და ელექტრონულად შევსებული სატენდერო დოკუმენტაცის კითხვარი (პირობები);

2. დაევალოს სატენდერო კომისიის აპარატს უზრუნველყოს ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-12[1] მუხლის მე-2 პუქტისა და „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-16 და მე-17 მუხლების შესაბამისად, ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ სატენდერო განცხადებისა და ელექტრონულად შევსებული სატენდერო დოკუმენტაციის კითხვარის (პირობების) ქართულ ენაზე გამოქვეყნება სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონული სისტემაში (https://tenders.procurement.gov.ge);

3. დამტკიცების შემდგომ, დაევალოს სატენდერო კომისიის აპარატს უზრუნველყოს სატენდერო კომისიის სხდომის ოქმის ხელმოწერისთანავე ატვირთვა სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (https://tenders.procurement.gov.ge);

4. აღნიშნული გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის შესაბამის ველში არსებული სისტემური ღილაკის მეშვეობით (https://tenders.procurement.gov.ge).

დავით ვარდიაშვილი----------
კომისიის თავმჯდომარე

მურთაზ სიჭინავა ----------
კომისიის თავმჯდომარის მოადგილე

გელა კეზუა ----------
კომისიის წევრი

მამუკა სხილაძე ----------
კომისიის წევრი

დავით გოლოშვილი ----------
კომისიის წევრი

ნოდარი ქუბრიაშვილი ----------
კომისიის წევრი

ოთარ ყირიმელი----------
კონსულტანტი

ლაშა შენგელია ----------
აპარატის წევრი

მანანა ამაღლობელი ----------
აპარატის წევრი

გიორგი თათილაშვილი ----------
აპარატის წევრი

სოფიო ბასილაძე----------
აპარატის წევრი

გიორგი გიორგაძე ----------
აპარატის წევრი

JSC Georgian State Electrosystem

Digitally signed by JSC Georgian State Electrosystem
Date: 2019.07.02 15:20:01 +04'00'